USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | HEALTH SYSTEM STRENGTHENING PROJECT

მემორანდუმი

ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის გადაბარების შესახებ

8 ივლისი, 2015 წელი

მემორანდუმი

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და უცხოეთის სამეწარმეო იურიდიულ პირს –„აბთ ესოშიეითს ინკორპორეიტედს“ შორის, საქართველოში მისი წარმომადგენლობის „აბთ ესოშიეითს ინკორპორეიტედი – საქართველოს“ სახით

საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვის სფეროში

ქ. თბილისი 8 ივლისი 2015წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი:

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის ზაზა სოფრომაძის სახით
(შემდგომში – „პირველი მხარე“ ან „სამინისტრო“)

და

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (“USAID”) „ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროგრამის“ (შემდგომში - “პროგრამა”) განმახორციელებელი უცხოეთის სამეწარმეო იურიდიული პირი –„აბთ ესოშიეითს ინკორპორეიტედ“, საქართველოში მისი წარმომადგენლობის „აბთ ესოშიეითს ინკორპორეიტედი – საქართველო“-ს სახით, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის, ალექსანდრე ტურძილაძის მიერ
(შემდგომში – „მეორე მხარე“)

პირველი მხარე და მეორე მხარე წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის ტექსტში, ერთად მოიხსენებიან როგორც – მხარეები, ხოლო ცალ–ცალკე, როგორც – მხარე.

ვითვალისწინებთ რა, რომ:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ნერგავს „ჯანმრთელობის დაცვის ერთიან საინფორმაციო სისტემას“ (შემდგომში - „სისტემა“) „აბთ ესოშიეითს ინკორპორეიტედის“ ხელშეწყობით, რომელიც, თავის მხრივ ახორციელებს „პროგრამას“ „USAID“-ის აქტიური ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით;
- „სისტემა“ უზრუნველყოფს „სამინისტროს“, სადაზღვევო კომპანიების, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების, ფარმაცევტული დაწესებულებებისა და პაციენტების საინფორმაციო საჭიროებათა დაკმაყოფილებასა და ურთიერთკავშირს;
- „პროგრამა“ მიზნად ისახავს დაეხმაროს საქართველოს მოსახლეობას, სახელმწიფოსა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ჩართულ მხარეებს მარტივად და მცირე დროში მიიღონ ზუსტი ინფორმაცია და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება;

- „სისტემის“ შექმნა და დანერგვა - რაც „აბთ ესოშიეითს ინკორპორეიტედის“ ბოლო შეფასების საფუძველზე, შეფასდა 4,576,345 ა.შ.შ. დოლარად - გათვალისწინებული იყო „პროგრამის“ თაობაზე „აბთ ესოშიეითს ინკორპორეიტედსა“ და „USAID“-ს შორის დადებული ხელშეკრულებით და ორივე მხარე, როგორც „აბთ ესოშიეითს ინკორპორეიტედი“, ისე „USAID“ ისახავდნენ მიზნად, რომ „პროგრამის“ დასრულების შემდეგ „სისტემა“ გადაეცათ „სამინისტროსთვის“.

ამრიგად, ვხელმძღვანელობთ რა მხარეთა უფლებრივი თანასწორობის, ურთიერთპატივისცემისა და თანხვედრი ინტერესების შესაბამისად, წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს (შემდგომში - „მემორანდუმი“) ვაფორმებთ ქვემოთ მოცემული პირობებით:

მუხლი 1. მემორანდუმის გაფორმების ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები
მემორანდუმის გაფორმების ძირითად სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს: საქართველოს კონსტიტუცია, “საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ჰუმანიტარული და ტექნიკური ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობისათვის თანამშრომლობის თაობაზე” 1992 წლის 31 ივლისის ხელშეკრულება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, მათ შორის, და არამხოლოდ, საქართველოს 1996 წლის კანონი #331 „გრანტების შესახებ“ (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით) და მხარეთა სადამფუძნებლო დოკუმენტები, აგრეთვე, „აბთ ესოშიეითს ინკორპორეიტედსა“ და „USAID“-ს შორის დადებული ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება“) საქართველოში „ჯანდაცვის სისტემის გაძლიერების პროგრამის“ დანერგვის თაობაზე IQC N°: GHS-I-00-07-00003-00 და დავალების ბრძანება N°: GHS-I-09-07-00003-00, რომლის პირობების თაობაზე, რაც უკავშირდება წინამდებარე მემორანდუმის გაფორმებას და მის პირობებს, მეორე მხარისგან, მემორანდუმის გაფორმებისთანავე ეცნობება პირველ მხარეს.

მუხლი 2. მემორანდუმის მიზანი
მემორანდუმის მიზანია, მეორე მხარის მიერ პირველი მხარისათვის, გრანტის (უსასყიდლოდ) სახით, “სისტემის“ გადაცემის უზრუნველყოფა, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 3. პირველი მხარის დათქმები
1. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, პირველი მხარე აცხადებს სურვილს და გამოთქვამს მზადყოფნას, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით:
ა) მიიღოს „სისტემა“ მეორე მხარისგან და იკისროს პასუხისმგებლობა მის ადმინისტრირებაზე 2015 წლის 31 აგვისტოდან;
ბ) განახორციელოს სხვა უფლებები, რომელიც ხელს შეუწყობს მემორანდუმის მიზნების ჯეროვან შესრულებას.
2. პირველი მხარე აცნობიერებს და აღიარებს, რომ ამ მემორანდუმით, მეორე მხარეს არ ეკისრება რაიმე ისეთი მოქმედების განხორციელების ვალდებულება, რაც უშუალოდ არ არის გათვალისწინებული ამვე მემორანდუმით.

მუხლი 4. მეორე მხარის დათქმები
თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მეორე მხარე აცხადებს სურვილს და გამოთქვამს მზადყოფნას, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) განაგრძოს, პირველ მხარესთან თანამშრომლობის გზით, „სისტემის“ შექმნა და დანერგვა 2015 წლის 31 აგვისტომდე. „სისტემის“ განვითარება და დანერგვა შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით:
– განაგრძოს დაბადება გარდაცვალების მოდულის შექმნაზე და პერინატალური მომსახურების პროვაიდერების რეესტრის შედგენაზე მუშაობა, მათი შესაძლებლობებისა და რესურსების შესახებ ინფორმაციის მისაღებად (მაგ.: პროვაიდერის „პასპორტიზაციის“ სისტემის მითითებამდე გაუმჯობესება);
– განაგრძოს სისტემის დიზაინის და არქიტექტურის, ბიზნეს პროცესების, გარე და შიდა სისტემების ურთიერთკავშირის, მონაცემთა ბაზების და ვებ სერვისების აღწერა;
– ყველა მომხმარებელთა სახელმძღვანელოს და ვიდეო სახელმძღვანელოს განახლება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ბ) გააგრძელებს სისტემის ადმინისტრირების მხარდაჭერას, პირველ მხარესთან თანამშრომლობის გზით, 2015 წლის 31 აგვისტომდე;
გ) გადასცემს პირველ მხარეს „სისტემას“ შემდეგი მხარდაჭერის უზრუნველყოფის გზით:
– სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ჩატარება და ტექნიკური დისკუსიების გამართვა; გ.ბ. პირდაპირი დაკვირვების გზით, მიმართულების მიცემა სამინისტროს თანამშრომლების „სისტემის“ სხვადასხვა ელემენტების მართვასა და მოდიფიცირებაში დატრეინინგება;
– „სისტემის“ გადაცემის რამდენიმე განსხვავებულ სცენარის შემუშავება, სამინისტროსთვის კონსულტაციების გაწევა და რისკების/უპირატესობების ანალიზის მიწოდება;
– სამინისტროსთვის შეზღუდული ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა საბოლოო გადაცემიდან 2015 წლის 31 აგვისტომდე, რაც მოიცავს ვალდებულებას უპასუხოს „სისტემის“ მუშაობასთან დაკავშირებით დასმული ყველა შეკითხვას და დაეხმაროს „სისტემის“ მუშაობასთან დაკავშირებით წარმოშობილი ყველა პრობლემის გადაწყვეტაში;
– არაუგვიანეს 2015 წლის 31 აგვისტოსი პირველ მხარეს გადასცეს „სისტემის“ დიზაინის, არქიტექტურის, ბიზნეს პროცესის, გარე და შიდა სისტემის ურთიერთკავშირის, მონაცემთა ბაზებისა და ვებ სერვისის აღწერას დოკუმენტური ფორმით.
დ) მეორე მხარე არ არის ვალდებული მიაწოდოს პირველ მხარეს რაიმე სახის საქონელი ან მომსახურება, გარდა იმისა, რაც გამომდინარეობს ამ მემორანდუმიდან.

მუხლი 5. ორივე მხარის დათქმები

ა) „სისტემა“ პირველ მხარეს გადაეცემა უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ისეთ ვარგის მდგომარეობაში, რომელიც საჭიროა წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ფუნქცია-ამოცანების შეუფერხებელი განხორციელებისათვის.
ბ) "სისტემა" გადაეცემა პირველ მხარეს არსებულ მდგომარეობაში, ყოველგვარი გამოხატული თუ ნაგულისხმევი, კანონმდებლობით ან სხვაგვარად გათვალისწინებული საგარანტიო ვალდებულების, პირობების, განცხადებების ან გარანტების გარეშე. მეორე მხარეს არ შეუძლია მისცეს გარანტია პირველ მხარეს, რომ „სისტემა“ იმუშავებს ყოველგვარი ხარვეზის გარეშე და მეორე მხარეს არ გააჩნია არანაირი ვალდებულება გაუწიოს პირველ მხარეს რაიმე სახის ტექნიკური დახმარება ან მხარდაჭერა 2015 წლის 31 აგვისტოს შემდეგ.
გ) პირველი მხარე აცნობიერებს და აღიარებს, რომ მეორე მხარე არცერთ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი პირველი მხარის წინაშე „სისტემასთან“ დაკავშირებული

ნებისმიერი სახის ზიანისთვის/ზარალისთვის, რაც მოიცავს (და არამარტო) მიუღებელ შემოსავალს, დაკარგულ ბიზნეს შესაძლებლობებს, „სისტემის“ გამოყენების შესაძლებლობის დაკარგვას, ბიზნეს საქმიანობის წყვეტას, მონაცემთა ბაზის დაკარგვას, ან ნებისმიერ სხვა არაპირდაპირ, შედეგობრივ, სპეციალურ, სამაგალითო ზიანს თუ ჯარიმას, მიუხედავად იმისა თუ პასუხისმგებლობის რომელი თეორიიდან გამომდინარეობს ამგვარი ზიანი, სახელშეკრულებო, დელიქტი, უხეში გაუფრთხილებლობა, პროდუქციის გამო პასუხისმგებლობა, თუ სხვა.
დ) პირველი მხარე აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ „სისტემის“ განგრძობადი მუშაობის უზრუნველყოფის ვალდებულების კისრების შემდეგ, არ გაასხვისებს „სისტემას“ ქვეყნის გარეთ.

მუხლი 6. დამაბრკოლებელი გარემოების არ არსებობა
მხარეები აღიარებენ, რომ მემორანდუმის გაფორმების მომენტში, მათთვის არ არსებობს არანაირი დამაბრკოლებელი გარემოებები, რაც ხელს შეუშლის, შეაფერხებს ან/და შეუძლებელს გახდის მემორანდუმის გაფორმებას და მისი პირობების შესრულებას.

მუხლი 7. გამოყენებული სამართალი და მემორანდუმის ენა
1. მემორანდუმი დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
2. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე და მისი სხვა ენაზე თარგმნის შემთხვევაში, მემორანდუმის ინტერპრეტაციისას, ქართულ ენაზე შედგენილ მემორანდუმს გააჩნია უპირატესი ძალა.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები
1. მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად, 4 (ოთხი) ფურცელზე და ინახება მხარეებთან.
2. მემორანდუმში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი ფორმით, შეთანხმების საფუძველზე.
3. მემორანდუმი ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს _____.

პირველი მხარე	**მეორე მხარე**
საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	„აბთ ესოშიეითს ინკორპორეიტედ“ საქართველოში მისი წარმომადგენლობის „აბთ ესოშიეითს ინკორპორეიტედი – საქართველო“-ს სახით
ი/მის: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი N144	ი/მის: თბილისი, აღმაშენებლის გამზირი N44/9
_____	_____
ზაზა სოფრომაძე მინისტრის მოადგილე	ალექსანდრე ტურძილაძე ხელმძღვანელი